საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№122 2017 წლის 4 მაისი ქ. თბილისი

„საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის გეოგრაფიული აღნიშვნებისა და წარმოშობის წყაროს აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის გეოგრაფიული აღნიშვნებისა და წარმოშობის წყაროს აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილება მიენიჭოს მომლაპარაკებელთა ჯგუფს შემდეგი შემადგენლობით:

ნიკოლოზ გოგილიძე - საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარე, მომლაპარაკებელთა ჯგუფის ხელმძღვანელი. მანვე უზრუნველყოს „საქართველოსა და შვეიცარიის

კონფედერაციას შორის გეოგრაფიული აღნიშვნებისა და წარმოშობის წყაროს აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით მოლაპარაკების პროცესის საერთო ხელმძღვანელობა და წარმართვა;

სოფიო მუჯირი - საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის მოადგილე;

ლაშა ინაური - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ევროინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსი;

თეა კუნჭულია - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის დეპარტამენტის სავაჭრო მოლაპარაკებებისა და ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების განხორციელების კოორდინაციის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;

გიორგი კობახიძე - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის მრჩეველი.

გიორგი კვირიკაშვილი